

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

1. პროგრამის დაფინანსების წყარო:
ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.
2. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:
ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.
3. პროგრამის მიზანი:
მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა.
4. განსახორციელებელი ღონისძიებები:
მოქალაქეთა განცხადებების განხილვა, შესაბამისი მოკვლევის საფუძველზე დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა, ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება და უფასო სასადილოთი მომსახურება.
5. დამატებითი ინფორმაცია:
 - ა) დახმარებით (უფასო სასადილო) ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში ბოლო ერთი წლის განმავლობაში უწყვეტად რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი, მზრუნველობამოკლებული პირები;
 - ბ) დახმარება პროგრამაში ჩართულ ყოველ ბენეფიციარზე გაიცემა დღეში ერთჯერადი კვების სახით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მენიუს შესაბამისად;
 - გ) დახმარების მთხოვნელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ პირადობის მოწმობა (მოწმობები), ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის რეკომენდაცია/ შუამდგომლობა და ცნობა, ბენეფიციარის ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად ცხოვრების შესახებ და მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი მოკვლევისათვის საჭირო დამატებითი დოკუმენტები;
 - დ) პროგრამაში ბენეფიციარის ჩართვა ხდება თემის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის საფუძველზე;
 - ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი არ ვრცელდება პროგრამის დამტკიცების მომენტში არსებულ ბენეფიციარებზე.
6. პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ან/და განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცემა საკვები პროდუქტები;
7. მოსალოდნელი შედეგი:
მზრუნველობამოკლებულთა მატერიალური და მორალური თანადგომა.
8. შეფასების კრიტერიუმები:
დახმარებით მოსარგებლე ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა.